ტენდერის აღწერილობა:

ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში აცხადებს ტენდერს სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოებზე.

გამოცხადების თარიღი: 2023 წლის 25 აპრილი

ქვეყანა: საქართველო

შესრულების ადგილი: ქ. ქუთაისი, ფოთის ქ. № 3

კონტრაქტის დასახელება: სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის სამშენებლო სამუშაოები
დამკვეთი: ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში

ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში იწვევს დაინტერესებულ პრეტენდენტებს სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის (ობიექტის საკადასტრო კოდი: 03.06.21.161) სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები წინამდებარე მოწვევის პირობების შესაბამისად;

სამშენებლო ობიექტის საწყისი მდგომარეობა განისაზღვრება სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის დარჩენილი კედლებით, რომელთაგან ნახევარზე მეტი სავალალო მდგომარეობაშია და რეკომენდირებულია მათი მოხსნა, შემდგომში ახალი მშენებლობის დასაწყებად.

შესასრულებლი სამუშაოები მოიცავს:

- არსებული კონსტრუქციების დემონტაჟს;
- ტერიტორიის დასუფთავების სამუშაოებს;

საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად:

- საძირკველის მოწყობის სამუშაოებს დასრულებული სახით - ჰიდროიზოლაციის მოწყობა;
- სადრენაჟე სისტემის მოწყობას;
- წყალმომარაგების და გათბობის გარე კომუნიკაციის სამუშაოებს;
- მონოლიტური ფილების და კოლონების მოწყობის სამუშაოებს დასრულებული სახით;
- გარე პერიმეტრის კედლების 30 სმ სისქის პემზაბლოკით („ევრობლოკი“) შევსებას და, ყოველი სართულის დერეფნის კედლების 25 სმ სისქის პემზაბლოკით („ევრობლოკი“) შევსებას და ოთახებშორის კედლების 15 სმ სისქის პემზაბლოკით („ევრობლოკი“) შევსებას;
- კედლების შიდა მხარის ლესვა ცემენტით;
- საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად საევაკუაციო ლითონის კიბის მოწყობა;
- სახურავის მოწყობის კომპლექსური სამუშაოები (ანტისეპტირებული ხის კონსტრუქციის მოწყობა, ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა, თბოიზოლაცია, ორთქლიზოლაცია, ფერადი პროფილირებული თუნუქის სახურავის მოწყობა (პროფნასტილი), წყალშემკრები ღარების და წყალსაწრეტი ძაბრების და მილების მოწყობა, თოვლის შემაკავებელების მოწყობა და ა.შ.) დასრულებული სახით.

სატენდერო პირობები:

- ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ., საშემოსავლო და ა.შ.).
- წინადადება შევსებული უნდა იყოს დამკვეთის მიერ წარმოდგენილ „ სატენდერო დანართ N 1 "-ის ფორმაში.
- „სატენდერო დანართ N1"-ში ივსება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოების ფასთა გრაფები, დანარიცხების პროცენტული სიდიდეები და შემსრულებლის მონაცემები. დანარიცხების გრაფაში არ არის საშემოსავლოს პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადი ხელფასების სვეტში უნდა იყოს გათვალისწინებული.
- სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და სამშენებლო ნორმების, ასევე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების მკაცრი დაცვით;

სამშენებლო სამუშაოების შესრულების საორიენტაციო პერიოდია 2023 წლის 15 მაისიდან 2023 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით;
სამუშაოების ღირებულება: ტენდერში მონაწილის პასუხისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი შეესაბამებოდეს ადგილობრივ საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე;
წინადადების მოქმედების ვადა: მინიმუმ 30 კალენდარული დღე.

პრეტენდენტები, კონტრაქტის მისანიჭებლად უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება უკანასკნელ წლებში (2020-2023);
- მინიმუმ 1 500 000 - 2 500 000 ლარის ღირებულების შესრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უკანასკნელ წლებში (2020-2023);

პრეტენდენტმა, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები;
- კომპანიის იურიდიული დასახელება;
- საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, პოზიცია, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ (მათ შორის გაფორმებული სამშენებლო/სარემონტო ხელშეკრულების, ხარჯთაღრიცხვის ასლები) მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად;
- განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილზე;
- შევსებული მოცულობათა უწყისი (დოკუმენტი ერთვის ამ განცხადებას დანართი № 1 სახით).
- არასრული დოკუმენტაცია არ იქნება განხილული;

ტენდერის პროცესში, დამკვეთი უპირატესობას მიანიჭებს კომპანიას, რომელიც სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად დაადგენს დაბალ ფასს, მაღალ ხარისხს, ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, ექნება სხვა დამკვეთის (შესრულებული პროექტის) რეკომენდაციები.

პრეტენდენტის შერჩევისა და კონტრაქტის მინიჭების ვადა: **2023 წლის 09 მაისი.**

დანართი: მოცულობათა უწყისის ფორმა.

ტენდერის ჩაბარების პირობები:

- წინადადებების მიღების საბოლოო ვადა: **2023 წლის 08 მაისი 13:00 საათამდე;**
- მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: camilliansge@gmail.com
- დამკვეთი უფლებამოსილია, შერჩევის პროცესში, პრეტენდენტს მოსთხოვოს ინფორმაციის დაზუსტება სატენდერო განცხადებაში მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით და ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით: ედუარდ ზახარიანს
  მობ: 571 373 193, ელ. ფოსტა: zaxarianikutaisi@gmail.com

დანართი № 1

* ღირებულება მოცემულია ეროვნულ ვალუტაში

№	დასახელება	ღირებულება
1	სადემონტაჟო სამუშაოებები	
2	საძირკველის მოწყობა	
3	მონოლიტური ფილების მოწყობა	
4	კოლონების მოწყობა	
სულ ჯამი:		- ₾

ქ. ქუთაისში, ფოთის ქ. № 3-ში სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა
საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.		მასალა		ხელფასი		მანქანა მექანიზმები		სპეციფიკაცია	ჯამი
			სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12